აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №5

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს განხილვის პროცედურა საკითხზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშის შესახებ.
2. წამყვან კომიტეტად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.
3. განხილვის ვადად განისაზღვროს: წამყვანი კომიტეტისთვის - 2021 წლის 19 მარტი, სხვა კომიტეტებისათვის - 2021 წლის 15 მარტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
9 თებერვალი, 2021 წელი
№1

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
უმაღლესი საარჩევნო კომისია

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA
SUPREME ELECTION COMMISSION

N 01-27/5
29/01/2021

5-01-27-2-202101291416

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშს.

დანართი: „28“ ფურცელი.

პატივისცემით,

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №2 ტელ: (0 422) 27 21 84; (0 422) 27 48 16
Georgia, 6010, Batumi, 2, Gogebashvili str, Tel: (0 422) 27 21 84; (0 422) 27 48 16
www.sec.ge - Email: info@sec.ge

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

ა ნ გ ა რ ი შ ი

შინაარსი 3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 4
საარჩევნო კანონმდებლობა 4
საარჩევნო ადმინისტრაცია 4
საარჩევნო სუბიექტები 5
ამომრჩეველთა სია 7
არჩევნების მონიტორინგი და მედია 7
არჩევნების დღე 8
საჩივრების განხილვა 9
საარჩევნო კამპანიის ხარჯები..... 9
არჩევნების შედეგების დამუშავება..... 9
საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა 10
უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები 25

შესავალი

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს №31/08/02 განკარგულებით 2020 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 14 ნოემბრის №41 განკარგულებით 2020 წლის 21 ნოემბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნების პარალელურად გაიმართა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშს, უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

აჭარის აჭარის ავტონომიური უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაწერილ იქნა წინასაარჩევნო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, ამომრჩევლის მეტ ინფორმირებასა და ჩართულ მხარეთა შესაძლებლობების განვითარებას. ამასთანავე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ COVID-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემია, საარჩევნო პროცესისთვის გამოწვევა იყო. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ წინასაარჩევნო პერიოდში აქტიური საინფორმაციო კამპანია აწარმოა, რომელიც მიზნად ისახავდა ამომრჩევლისთვის ვირუსთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური პროტოკოლის გაცნობას და ასევე კენჭისყრის დღის უსაფრთხოების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.

საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ საარჩევნო პროცესის მაღალ დონეზე ადმინისტრირება ამომრჩევლის მხრიდან საარჩევნო პროცესისადმი ნდობის წინაპირობაა. სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების და პრინციპების შესაბამისად კი დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, უმაღლესი საარჩევნო კომისია საჭირო ღონისძიებების გატარებით უზრუნველყოფს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარებას და საარჩევნო გარემოს შეუქცევად გაუმჯობესებას.

როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად წარუძღვა. უმაღლესი საარჩევნო კომისია მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და გამჭვირვალედ მოქმედებდა. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები ღია იყო დამკვირვებლებისათვის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 3 დეპუტატისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც.

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) დადგენილებები ქმნიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობას.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ადგენს, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო დავის განხილვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წესს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:
ა) უსკოსა და მისი აპარატისგან;
ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

უსკო შედგება თავმჯდომარისა და 5 წევრისაგან, ხოლო საარჩევნო პერიოდში ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული დროებითი წევრებისაგან. საარჩევნო პერიოდში პარტიების მიერ უსკოს დროებითი წევრების დანიშვნის, მათი რაოდენობისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პარტიის გადაწყვეტილება უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში. უსკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით, გარდა კანონით განსაზღვრული წესით პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა, რომელთა უფლებამოსილების ვადაც განისაზღვრება არჩევნების დანიშვნიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით, ხოლო ხელახალი არჩევნების შემთხვევაში კი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით. უსკოს თავმჯდომარეს/არჩეულ წევრს უფლებამოსილება უწყდება კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უსკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი. უსკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. უსკოს თავმჯდომარესა და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს.

ვინაიდან, 2020 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებდნენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო სუბიექტები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა

პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 26 პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რეგისტრაცია გაიარა 26 პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

რეგისტრირებული 26 პოლიტიკური გაერთიანებიდან 3 პოლიტიკურ გაერთიანებას გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია პარტიული სიის არ წარმოდგენის გამო.

2 საარჩევნო სუბიექტმა შექმნა 1 საარჩევნო ბლოკი ხოლო 21 პოლიტიკური გაერთიანება დამოუკიდებლად მონაწილეობდა არჩევნებში.

<u>საარჩევნო ბლოკი</u>

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

<u>არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:</u>

1. „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“;
2. „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“;
3. „ბაგრატიონი - სახე+“;
4. „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“;
5. „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“;
6. „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
7. „გირჩი“;
8. ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“;
9. „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“;
10. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
11. „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
12. „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“;
13. „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
14. „ქართული იდეა“;
15. „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“;
16. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
17. „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“;
18. „ლელო-მამუკა ხაზარაძე“;
19. „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“;
20. „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;
21. „სოციალური სამართლიანობისათვის“.

ამომრჩეველთა სია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთიანი სია არის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების განხორციელება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკო უსკოს გადასცემს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას. უსკო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში.

ვინაიდან, 2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო არჩევნებისათვის ფორმირებული ამომრჩეველთა ერთიანი სია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიას.

არჩევნების მონიტორინგი და მედია

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ვინაიდან, 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით ადგილობრივ და

საერთაშორისო ორგანიზაციებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვებისათვის, თუ ისინი რეგისტრირებული იყვნენ ცესკოში, დამატებით უსკოში რეგისტრაცია არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს ჰქონდათ უფლება დაკვირვება განეხორციელებინათ, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე, ხოლო თუ ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ექნებოდათ სურვილი დაკვირვება უშუალოდ უსკოში განეხორციელებინათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ განცხადებით მოემართათ უსკოს მდივნისათვის დამკვირვებლების უსკოში დანიშვნის შესახებ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით.

<u>რებრენდინგი</u> რებრენდინგის ფარგლებში დამზადდა ბრენდირებული კალმები, ბლოკნოტები, მუყაოს ჩანთები, მაისურები და შტენდერი.

<u>წინასაარჩევნო პროცესი</u> - საზოგადოების ინფორმირების მიზნით უსკომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია განახორციელა. მომზადდა სოციალური-საინფორმაციო ტიპის სატელევიზიო რეკლამები, ასევე დამზადდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთათვის, საინფორმაციო რეკლამები განთავსდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიასა და რადიოში და კერძო ტელეკომპანია „TV-25“-ზე და ბათუმი TV-ზე, ასევე განთავსდა უსკოს ვებ-გვერდზე.

არჩევნების დღე

როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში 07:00 საათზე გაიხსნა ყველა საარჩევნო უბანი, ხოლო 08:00 საათზე შეუფერხებლად დაიწყო კენჭისყრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამივე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ 373 (მეორ ტურში 300) საარჩევნო უბანზე. ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა კანონმდებლობით დადენილი წესით 20:00 საათზე. არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩევლებს მიეცათ სრული შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი ნება თავისუფლად და შეუფერხებლად, რაიმე სახის გართულებებს ან შეფერხებებს ადგილი არ ჰქონია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. კერძოდ, კენჭისყრის დღეს (როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში) გაიმართა ბრიფინგი 09:00,

12:30, 15:30, 17:30 და 21:00 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ, საზოგადოებას მიაწოდა სრული ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ, ხოლო 21:00 საათზე უსკოს თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას გააცნო 2020 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა, მიაწოდა ინფორმაცია კენჭისყის მიმდინარეობის შესახებ და საჩივრების რაოდენობა.

საჩივრების განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში (პირველ და მეორე ტურში) საარჩევნო კომისიებში შემოვიდა 400 მეტი განცხადება და საჩივარი.

საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ადმინისტრაციაში შემოსული ყველა განცხადება და საჩივარი, განხილვის პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საჩივრების ელექტრონული რეესტრის მეშვეობით, შეეძლო მიეღო (გაცნობოდა) ნებისმიერი ინფორმაცია.

საარჩევნო კამპანიის ხარჯები

საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშის წარდგენა, საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისა და განკარგვის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-თ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი ვადებითა და დადგენილი წესით.

ვინაიდან, 2020 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტი, თუ იგი ასევე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში (გარდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისა) სარგებლობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისათვის გახსნილი საარჩევნო ფონდიდან და დამატებით უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ფონდის გახსნა არ მოეთხოვებოდა.

არჩევნების შედეგების დამუშავება

არჩევნების შედეგების დამუშავებისათვის უსკოს მიერ აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, გაიმართა სერვერები, როგორც შედეგების გვერდისათვის, ასევე მონაცემთა ბაზებისათვის, შეიქმნა გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა და გატარდა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა

საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი

საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაცია

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 26 პოლიტიკურმა გაერთიანებამ:

№	სახელწოდება
1	პ/გ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“
2	პ/გ „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“
3	პ/გ „ბაგრატიონი - სახე+“
4	პ/გ „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“
5	პ/გ „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“
6	პ/გ „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“
7	პ/გ „გირჩი“
8	პ/გ „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“
9	პ/გ ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“
10	პ/გ „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“
11	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
12	პ/გ „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“
13	პ/გ „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“
14	პ/გ „საქართველო“
15	პ/გ „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
16	პ/გ „ქართული იდეა“
17	პ/გ „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“
18	პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
19	პ/გ „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“
20	პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
21	პ/გ „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“
22	პ/გ „ლელო-მამუკა ხაზარაძე“
23	პ/გ „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“
24	პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“
25	პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“
26	პ/გ „სოციალური სამართლიანობისათვის“

დოკუმენტაციის პირველადი შემოწმების (განცხადების, წესდების, რეგისტრაციის მოწმობის შესაბამისობის დადგენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

არჩევნების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან) შემდგომ მომზადდა 31 დასკვნა, რომელთაგან სამი პოლიტიკური გაერთანების წარმომადგენლებს გაეგზავნათ ხარვეზის წერილები. შესწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინა სამივე პოლიტიკურმა გაერთიანებამ.

შემოწმდა ერთი პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ხალხთა ერთობა-გაერთიანებული, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ – („ბაგრატიონი - სახე+“) მხარდამჭერთა სია, რის საფუძველზეც მომზადდა მხარდამჭერთა სიის შემოწმების აქტი.

საბოლოოდ რეგისტრაციაში გატარდა 26 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება.

რეგისტრირებული 26 პოლიტიკური გაერთიანებიდან სამი პოლიტიკურ გაერთიანებას **(„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „საქართველო“ და „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“)** გაუუქმდა საარჩევნო რეგისტრაცია პარტიული სიების კანონით დადგენილ ვადაში არ წარმოდგენის გამო.

უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში პროპორციული სისტემით მონაწილეობა მიიღო 22-მა საარჩევნო სუბიექტმა მათ შორის ერთმა საარჩევნო ბლოკმა, ხოლო დანარჩენი საარჩევნო სუბიექტები დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ არჩევნებში.

№	**პარტიის/საარჩევნო ბლოკის დასახელება**
1	პ/გ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“
2	პ/გ „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“
3	პ/გ „ბაგრატიონი - სახე+“
4	პ/გ „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“
5	პ/გ „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“
6	პ/გ „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“
7	პ/გ „გირჩი“
8	პ/გ ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“
9	პ/გ „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“
10	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
11	პ/გ „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“
12	პ/გ „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“
13	პ/გ „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
14	პ/გ „ქართული იდეა“
15	პ/გ „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“
16	პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
17	პ/გ „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“
18	პ/გ „ლელო-მამუკა ხაზარაძე“
19	პ/გ „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“
20	პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“
21	პ/გ „სოციალური სამართლიანობისათვის“

22	ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	1. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
		2. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით რეგისტრირებული 26 საარჩევნო სუბიექტიდან „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“-ს და „გირჩს“ მაჟორიტარი კანდიდატი არცერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არ წარუდგენია. 9 საარჩევნო სუბიექტმა ყველა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინა საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად თითო - თითო მაჟორიტარი კანდიდატი, 8 საარჩევნო სუბიექტმა მაჟორიტარი კანდიდატი წარადგინა ორ მაჟორიტარულ სარჩევნო ოლქში ხოლო სამმა საარჩევნო სუბიექტმა მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინა მხოლოდ ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ყველა მაჟორიტარი კანდიდატი გატარებული იქნა საარჩევნო რეგისტრაციაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში არცერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფს არ წარუდგენია მაჟორიტარი კანდიდატი.

პროპორციული საარჩევნო სისტემით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 501 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, მათ შორის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი იყო 46 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

<u>**პარტიული სიები**</u>

პარტიული სია წარადგინა 22-მა საარჩევნო სუბიექტმა:

არჩევნებში პარტიების რიგითი №	**პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება**
3	პ/გ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“
17	პ/გ „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“
61	პ/გ „ბაგრატიონი - სახე+“
55	პ/გ „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“
27	პ/გ „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“
47	პ/გ „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“
36	პ/გ „გირჩი“
26	პ/გ ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“
14	პ/გ „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“
41	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2	პ/გ „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“

19	პ/გ „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“
10	პ/გ „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
44	პ/გ „ქართული იდეა“
31	პ/გ „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“
8	პ/გ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
4	პ/გ „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“
56	პ/გ „ლელო-მამუკა ხაზარაძე“
21	პ/გ „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“
24	პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“
34	პ/გ „სოციალური სამართლიანობისათვის“
5	ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ შემოწმდა 22 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია და თანდართული მასალები რის შედეგადაც მომზადდა 28 დასკვნა და 6 ხარვეზის წერილი. 22 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში.

საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები.

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უსკოს აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა კორესპონდენციის მიღებას, აწარმოებდა შემოსული და გასული წერილების ჟურნალს და საქმისწარმოების ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის რეესტრს. ყველა სახის კორესპოდენციის რეგისტრაცია ხდებოდა eDocument - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში სულ შემოვიდა 221 კორესპონდენცია, აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტიდან კი გაგზავნილ იქნა 67 წერილი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უსკოს 12 სხდომის მომზადება, ჩატარება და შესაბამისი რაოდენობის სხდომის ოქმის გაფორმება. მომზადდა უსკოს 34 განკარგულება, მომზადდა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გაიგზავნა უსკოს 4 დადგენილება, საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი პროექტით მომზადდა უსკოს თავმჯდომარის 72 განკარგულება და უსკოს მდივნის 17 განკარგულება.

საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება მუშაობდა უსკოს რეგლამენტის, დადგენილებების და განკარგულებების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების პარალელურად გაიმართა, შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია აქტიურად ურთიერთობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ოლქებისა და უბნების მეშვეობით. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეიქმნა 3 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, აქედან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში შეიქმნა N28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში შეიქმნა N29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის (მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის გარდა) ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საზღვრებში შეიქმნა N30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად საარჩევნო უბნების შექმნაში. საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების მიერ, ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად, შეგროვდა არჩევნების ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და საჭირო დაფინანსების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ: დაზუსტდა და აღირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა. საოლქო საარჩევნო კომისიების მდგომარეობა და არჩევნებისათვის მზადყოფნა. დაზუსტდა საარჩევნო უბნების საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები. შეგროვდა საოლქო საარჩევნო კომისიებში კვალიფიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეულ/დანიშნულ წევრთა რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიების კომპიუტერული ბაზა (უბნის მისამართი, ტელეფონი, კომისიის შემადგენლობა დამნიშნავი სუბიექტის მითითებით). მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიებისგან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო

კომისიების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის, პირველი სხდომების გამართვის, კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების (პირველი ტური) გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი 3 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქისა და 373 საარჩევნო უბნის მეშვეობით, მათ შორის N28 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შეიქმნა ერთი სპეციალური უბანი ქ. ბათუმის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში და 16 კოვიდ-უბანი, N29 მაჟორიტარულ ოლქში შეიქმნა 4 კოვიდ-უბანი, ხოლო N30 მაჟორიტარულ ოლქში შეიქმნა 4 კოვიდ-უბანი.

ამომრჩეველთა რაოდენობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგინა 314 889 ამომრჩეველი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის 01 ოქტომბრის N29 და 2020 წლის 06 ოქტომბრის N32 განკარგულებებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში აირჩა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 6 წარმომადგენელი, რომლებიც მივლენილი იქნენ საოლქო საარჩევნო კომისიებში და აღიჭურვენ ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებებით. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მათ ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით საარჩევნო უბნებში/ოლქებში შესულ ყველა სახის ინფორმაციას (მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს) დაუყოვნებლივ აწვდიდნენ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა იმ შენობების ჩამონათვალი, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოიყო მასობრივი საარჩევნო ღონისძიებებისა და სააგიტაციო შეხვედრების ჩასატარებლად. მოხდა საარჩევნო ოლქების ინფორმირება საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის შესახებ და სტამბაში ბეჭდვის პროცესის მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, შეიქმნა ბიულეტენების ბეჭდვაზე დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს.

დაიბეჭდა და ოლქებსა და უბნებს ასევე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს გადაეცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები; (მაჟორიტარული, პროპორციული);
- რეგისტრირებულ კანდიდატთა სიები;
- არჩევნების გამართვისათვის საჭირო ყველა სახის ინვენტარი და ტექნიკა.

საარჩევნო ოლქებს გადაეცათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმა და სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხებოდა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქსა და უბანს. გარდა ამისა, საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების თანამშრომლები ასრულებდნენ ყოველდღიურ სამუშაოს – უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და უსკოს წარმომადგენლებს, ასევე ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს შორის ინფორმაციის მიღება-ჩაბარებას. კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნისა და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, 12:00, 17:00 და 20:00 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო სააარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტზე გადაცემას.

უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში (პირველი ტური) მონაწილეობა მიიღო 186 863 ამომრჩეველმა.

<u>მეორე ტური</u>

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად N28 და N30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2020 წლის 21 ნოემბერს დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი 3 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან 2 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (№28 და №30) ერთდროულად ტარდებოდა როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მეორე ტური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურის გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი 2 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის 300 საარჩევნო უბნის (მათ შორის 20 კოვიდ-უბნის) მეშვეობით.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მეორე ტურისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები; (მაჟორიტარული);
- მაჟორიტარ კანდიდატთა სიები;
- არჩევნების გამართვისათვის საჭირო ყველა სახის ინვენტარი და ტექნიკა.

კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. 12:00, 17:00 და 20:00 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის და დაინტერესებული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო სააარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტზე გადაცემას.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

არჩევნების დანიშვნის დღიდან, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, გარდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით განსაზღვრული ძირითადი საქმიანობისა შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაეწია ყველა დონის საარჩევნო კომისიებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ამომრჩევლებს. საარჩევნო კანონმდებლობითა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი დასკვნები და განმარტებები, რომლებიც დადგენილი წესით წარედგინა, როგორც უმაღლეს საარჩევნო კომისიას, ასევე კომისიის ხელმძღვანელ პირებს. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად, შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე მიღებული იქნა უსკოს 4 დადგენილება, 34 განკარგულება და უსკოს მდივნის 17 განკარგულება.

საარჩევნო ადმინისტრაციებმა, როგორც პირველ, ასევე მეორე ტურში განიხილეს 400-მდე საჩივარი - მათ შორის საარჩევნო უბნებში 200-ზე მეტი, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში 197, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რაიმე სახის განცხადება/საჩივარი არ დაფიქსირებულა. საუბნო საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ყველა საჩივარი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. N28 მაჟორიტარულ ოლქში (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია) პირველ და მეორე ტურში დაფიქსირდა 125 საჩივარი: დააკმაყოფილა 25, არ დააკმაყოფილა 78, ნაწილობრივ დააკმაყოფილა 20, განუხილველად იქნა დატოვებული 3. N29 მაჟორიტარული საარჩენო ოლქი (N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია) პირველ ტურში განიხილა 13 საჩივარი: დააკმაყოფილა 4, განუხილველად დატოვა 6, არ დააკმაყოფილა 3 საჩივარი. N30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი (N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია) პირველ და მეორე ტურში განიხილა 59 საჩივარი: დაკმაყოფილდა 17, არ დაკმაყოფილდა 19, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 17 საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული 6 საჩივარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა გამო სასამართლოში წარდგენილი იქნა ერთი სარჩელი. საჩივრის ავტორი საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“. დავის საგანი: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა.“ 2020 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეჯამდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები“, შედგა შესაბამისი ოქმები კანონმდებლობით დადგენილი წესით და დაინიშნა არჩევნების მეორე ტური შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. აღნიშნული ოქმები გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, წარდგენილი საჩივარი სასამართლომ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამრთლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში 2020 წლის 01 სექტემბრის მონაცემებით ირიცხებოდა კომისიის 6 წევრი და აპარატის 16 თანამშრომელი, მათ შორის 2 უვადო ხელშეკრულების ვადით. ამასთანავე, აპარატი შედგებოდა 4 დეპარტამენტისა და 4 განყოფილებისაგან: საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტი, საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის განყოფილება, ინსტიტუციური განვითარების განყოფილება. 13 ქალი და 9 მამაკაცი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობისა და სახელფასო განაკვეთის განსაზღვრის შესახებ 2020 წლის 27 აგვისტოს მიიღო № 12 განკარგულება, რითაც განისაზღვრა შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა, მათი სახელფასო განაკვეთი და უფლებამოსილების ვადა ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მუშაობის დაწყების სურვილი გამოთქვა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში განცხადება შემოიტანა 23 მოქალაქემ. მათთან გაფორმდა ხელშეკრულებები და ისინი სხვადასხვა დეპარტამენტებში და

განყოფილებებში შემდეგნაირად გადანაწილდნენ: საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტს დაემატა 4 სპეციალისტი, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს 4 სპეციალისტი, ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს 3 სპეციალისტი, საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს 3 სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარეს დაემატა თანაშემწე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს დაემატა თანაშემწე და კომისიის მდივანს თანაშემწე. ამასთანავე, კომისიას დაემატა კომპიუტერის ოპერატორი და კომპიუტერის ოპერატორის 3 დამხმარე სპეციალისტი, 2 დამლაგებელი. სულ 11 ქალი და 12 მამაკაცი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას დაემატა კომისიის 6 წევრი წარმოდგენილი 4 პარტიის მიერ, რომლებიც იყვნენ უფლებამოსილნი ყოლოდათ წარმომადგენელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში. პ/გ „ქართული ოცნების“ მიერ დაინიშნა უსკოს 3 წევრი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაინიშნა უსკოს 1 წევრი, პ/გ „პატრიოტთა ალიანს“-ის მიერ დაინიშნა უსკოს 1 წევრი და პ/გ „ევროპული საქართველო“-ს მიერ დაინიშნა უსკოს 1 წევრი ამგვარად, 2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად უმაღლესი საარჩევნო კომისია შედგა კომისიის 12 წევრისაგან, მათ შორის 2 ქალი და 10 მამაკაცი, ყველა მათგანი უმაღლესი განათლებითა და საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის მქონე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ²“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების საფუძველზე, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში, წარმომადგელების ასარჩევად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში, 2020 წლის 27 სექტემბრიდან 04 ოქტომბრის ჩათვლით განცხადება შემოიტანა წარმომადგენლობის 10 მსურველმა. ბათუმის №79, ქედას №80, ქობულეთის №81, შუახევის №82, ხელვაჩაურის №83 და ხულოს №84 საოლქო საარჩევნო კომისიებში აირჩა თითო წარმომადგენელი, სულ 6 პირი, მათ შორის 3 ქალი და 3 მამაკაცი.

ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

2020 წლის 31 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყო:
საზოგადოების ინფორმირება არჩევნების და საარჩევნო პროცედურების შესახებ;

სარეკლამო კამპანია;
მედიასთან ურთიერთობა;
ვებ-გვერდის განახლება.

სარეკლამო კამპანია:

მომზადდა 5 სატელევიზიო ვიდეორგოლი, (უსკოს ცხელი ხაზი, პარტიული სიის წარდგენა, 4 ბიულეტენი, უსკოს საიმიჯო კლიპი და არჩევნების მეორე ტური), რომლებიც გადაიცემოდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ტელეკომპანია „TV-25"-ის, ბათუმი ტვ-ს და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის" საშუალებით. ვიდეორგოლები მომზადდა ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ცნობადობის ამაღლების მიზნით, ასევე საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გასაშუქებლად. ვიდეორგოლები მოიცავდა ინფორმაციას როგორც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების, ასევე არჩევნების მეორე ტურის (21 ნოემბერი) შესახებ. ხუთივე ვიდეო-რგოლი ადაპტირებული იყო სმენადაქვეითებულ ამომრჩეველზე, რგოლებს თან ახლდა სურდო თარგმანი.

„შენი ხმა მნიშვნელოვანია" - ამომრჩეველთა ინფორმირებისა და აქტივობის გაზრდის მიზნით უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ საინფორმაციო აქცია გამართა და ბათუმის ქუჩებში ამომრჩევლებს ფლაერები დაურიგა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდა და საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით განუმარტა, რომ პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა და არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე უზრუნველყოფილი იქნება ყველა პრევენციული ზომა ამომრჩევლის უსაფრთხოებისათვის. დამზადდა 1500 ცალი საინფორმაციო ფლაერი, რომელიც მოიცავდა მოკლე ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისა და 4 სხვადასხვა ფერის ბიულეტენის შესახებ. აქციისთვის დამზადდა უსკოს ლოგოთი ბრენდირებული მაისურები და ქუდები.

ვებ-გვერდის განახლება (www.usko.ge) - წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელდა უსკოს ვებ-გვერდის დიზაინისა და შინაარსის განახლება. გამარტივდა საძიებო სისტემა, ამომრჩევლისა და დაინტერესებული პირებისათვის მარტივი გახდა სასურველი ინფორმაციის მოძიება. საარჩევნო უბნისა და ოლქის მისამართების მოძიების მიზნით დამზადდა ელექტრონული რუკა, რომელიც განთავსდა ვებ-გვერდზე.

პრესრელიზი - დაინტერესებული პირებისა და მედია საშუალებების წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით უსკოში მიმდინარე პროცესების შესახებ სისტემატიურად მზადდებოდა პრესრელიზები, რომლებიც ქვეყნდებოდა უსკოს ვებ/ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე. ასევე უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ეტაპობრივად უზრუნველყოფდა ინფორმაციის მიწოდებას სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლებისათვის, რომელთათვისაც აჭარაში შეიქმნა 20 სპეციალური საარჩევნო უბანი, უსკოში კი სპეციალური ჯგუფი.

მედია მონიტორინგი - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის აწარმოებდა მედია მონიტორინგს და უსკოს აწვდიდა საარჩევნო

თემატიკის შესახებ ტელევიზიით, პრესით, რადიოთი და ინტერნეტ საიტებით გასული სიუჟეტებისა და სტატიების შესახებ მასალებს.

სხდომები - საარჩევნო პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება მომზადებული მედია-რელიზების საშუალებით საზოგადოებას აცნობდა სხდომებზე განსახილველ თემებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყველა სხდომა იყო საჯარო. ყოველ სხდომაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება იწვევდა მედია საშუალებების, საარჩევნო სუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. (პანდემიის პირობების გათვალისწინებით უსკოს ადმინისტრაციულ შენობაში დაცული იყო ყველა პრევენციული ზომა ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ).

მედიის აკრედიტაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია გაიარა მედია საშუალების წარმომადგენლებმა, რომლებსაც აკრედიტაციის ვადა გაუგრძელდათ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დღის ჩათვლით. ჯამში აკრედიტებული იყო შემდეგი 8 მედია საშუალების 207 ჟურნალისტი და ოპერატორი.

აკრედიტებული მედიისა და პრესის საშუალებები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“;
2. „TV-25“;
3. საინფორმაციო სააგენტო „პრაიმტაიმი“;
4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“;
5. შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“;
6. შპს „ტელეიმედი“;
7. შპს „სტუდია მაესტრო“;
8. შპს „ტელეკომპანია პირველი“.

დამკვირვებლების რეგისტრაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაცია გაიარა ხუთი ადგილობრივი ორგანიზაციის დამკვირვებლებმა, რომლებსაც უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე. ჯამში დარეგისტრირდა 120 დამკვირვებელი შემდეგი ორგანიზაციებიდან:

ა(ა)იპ „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“;

ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა";

ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“;

ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“;

ა.(ი).ი.პ. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია“.

ინფორმაციის საჯაროობა - უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა მოთხოვნილი ინფორმაციები სატელეფონო, ელექტრონული თუ სოციალური ქსელის საშუალებით. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყო საზოგადოების

ინფორმირება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის სავალდებულო ინფორმაციის პრესით გამოქვეყნების ჩათვლით.

არჩევნების დღე - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. კერძოდ, კენჭისყრის დღეს მოეწყო ბრიფინგები - 09:00, 12:30, 15:30, 17:30 და 21:00 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა საზოგადოებას მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. კენჭისყრის მეორე დღეს უსკოში გაიმართა საინფორმაციო ბრიფინგი, სადაც მედიის წარმომადგენლების საშუალებით, საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია წინასწარი პირველადი შედეგების შესახებ ვებ-გვერდზე ატვირთული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით. უსკოს თავმჯდომარემ ინფორმაცია გაავრცელა რამდენიმე მედია საშუალების პირდაპირი ეთერით.

არჩევნების მეორე ტური - (21 ნოემბერი) - მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, გაიმართა 4 საინფორმაციო ბრიფინგი - 09:00, 12:30, 18:00 და 21:00 საათზე, არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. კენჭისყრის მეორე დღეს უსკოში 09:00 საათზე გაიმართა საინფორმაციო ბრიფინგი, სადაც საზ.ურთიერთობის განყოფილების უფროსმა მედიის წარმომადგენლებს გააცნო საბოლოო წინასწარი მონაცემები, რადგან დილის 05:00 საათისთვის უკვე დასრულებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ვებ-გვერდზე განთავსება.

ინსტიტუციური განვითარების განყოფილება

ცხელი ხაზი - არჩევნების გამოცხადების დღიდან უსკოში ამოქმედდა უფასო ცხელი ხაზი (0800000010), სადაც ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა მიეღო პასუხი არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე.

ვებინარი პოლიტიკური პარტიებისთვის - წინასაარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) თანამშრომლობის შედეგად ჩატარდა ვებინარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის. შეხვედრის მთავარი თემა 2020 წლის არჩევნებისთვის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იყო.

სემინარი რეგიონალური მედიის წარმომადგენლებისთვის - უსკოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც ექსპერტებმა ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს მედია რეგულაციები საარჩევნო პროცესის დროს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების გამოცხადებისთანავე საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტმა უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დეპარტამენტებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები არჩევნების ფინანსური საკითხების უზრუნველყოფის მიზნით - კერძოდ:

2020 წლის 01 სექტემბრის №5 დადგენილების პროექტი - უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

2020 წლის 06 სექტემბრის №17 განკარგულების პროექტი - საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

2020 წლის 17 სექტემბრის №24 განკარგულების პროექტი - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

2020 წლის 20 სექტემბრის №26 განკარგულების პროექტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა სულ - 1 858 645 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურების ხარჯი - 1 470 938 ლარი;
საქონელი და მომსახურების ხარჯი - 382 931 ლარი;
არაფინანსური აქტივების ხარჯი - 4576 ლარი;
სხვა ხარჯი - 200.

არჩევნების ღონისძიების სრულყოფისათვის გაფორმებული იქნა - 50 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის საქონელისა და მომსახურების შეძენის მიზნით.

გაწეულ ხარჯებს შორის გამოვყოფთ რამოდენიმე მნიშვნელოვან ხარჯს, როგორიც იყო: საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება, რომლის საერთო თანხამ შეადგინა - 963 545 ლარი; ბიულეტენის ქაღალდის შეძენა და ბეჭდვამ, რომლის საერთო ხარჯვამ შეადგინა - 143 969 ლარი; უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატისათვის შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა - 4 576 ლარის; საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ხარჯმა შეადგინა - 5 250 ლარი; ასევე დამზადდა და შეძენილი იქნა - 26 500 ლარის ხუთი საინფორმაციო ვიდეო რგოლი, საინფორმაციო ვიდეო რგოლების გავრცელების მომსახურებაზე კი გაწეული იქნა - 3 700 ლარის ხარჯი.

საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისათვის ყველა სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

ელექტრონული და საინფორმაციო ტექნოლოგიები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების მიერ შეიქმნა კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და მოდიფიცირება.

მოამზადა საარჩევნო დოკუმენტაციის სხვადასხვა ფორმების და ნიმუშების კომპიუტერული დამუშავება.

2020 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განახლდა და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებისთანავე, (როგორც პირველ ასევე მეორე ტურში) ხდებოდა მათი სკანირება და უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთვა, პარალელურად კი მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით მონაცემების დამუშავება და უსკოს ვებ-გვერდის შედეგების ველში მათი განთავსება.

უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთული კენჭისყრის შედეგები ავტომატურ რეჟიმში პროექტორის მეშვეობით გადაიცემოდა ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ადმინისტრაციულ შენობაში ხმების წინასწარი დათვლის პროცესისათვის უშუალოდ ედევნებინა თვალყური ან გაცნობოდა უსკოს ვებგვერდის მეშვეობით.

საუბნო საარჩევნო კომიისიებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების ოქმების მონაცემების შეტანა ხდებოდა უწყვეტ რეჟიმში მის დასრულებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ამგვარმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო არჩევნების წინასწარი შედეგების გაცილებით უფრო სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტური დამუშავება.

უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში **314 889** ამომრჩევლიდან პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო **186 863** ამომრჩეველმა.

ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა
28	147 292
29	70 837
30	96 760

პროპორციული საარჩევნო სისტემით სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
2	„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	5 146	2,85	
3	„ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“	1 876	1,04	
4	„დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“	423	0,23	
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	61 242	33,96	7
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	5 923	3,28	
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	1 325	0,73	
14	„ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“	401	0,22	
17	„ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“	365	0,2	
19	„ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“	1 457	0,81	
21	„თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“	509	0,28	
24	„ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“	1 459	0,81	
26	ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“	234	0,13	
27	„გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	5 982	3,32	
31	„თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	183	0,1	
34	„სოციალური სამართლიანობისათვის“	288	0,16	
36	„გირჩი“	3 004	1,67	
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	82 700	45,86	11

44	„ქართული იდეა“	938	0,52	
47	„ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“	387	0,21	
55	„ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“	556	0,31	
56	„ლელო-მამუკა ხაზარაძე“	5 494	3,05	
61	„ბაგრატიონი - სახე+“	438	0,24	

5%-იანი ბარიერი გადალახა ორმა საარჩევნო სუბიექტმა:

1. 5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“. 33,96% (61 242 ხმა)

2. 41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 45,86% (82 700 ხმა)

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველ ტურში დაფიქსირდა შემდეგი შედეგი:

პირველი ტურში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული იქნა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიერ წარდგენილი კანდიდატი ცოტნე ანანიძე 50,05% (20 809 ხმა).

<u>მეორე ტური</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემით არჩევნების პირველ ტურში ვერ აირჩა №28 და №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრები, შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის საფუძველზე 2020 წლის 14 ნოემბერს უსკოს სხდომაზე უსკოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №28 და №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში **2020 წლის 21 ნოემბერს** დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობდნენ ორი საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ მაჟორიტარი კანდიდატები:

2020 წლის 21 ნოემბერს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე მაჟორიტარმა კანდიდატებმა მიიღეს ხმათა შემდეგი რაოდენობა:

მეორე ტურის შედეგები			
საარჩევნო ოლქი №	წარმდგენი	მაჟორიტარი კანდიდატები	მიღებული ხმათა რაოდენობა
№28	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	გიორგი კირთაძე	12% (4 115 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	ტიტე არუშიძე	88% (30 169 ხმა)
№30	5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	გია აბულაძე	10,82% (3 956 ხმა)
	41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	ფრიდონ ფუტკარაძე	89,18% (32 613 ხმა)

მეორე ტურში ორთავე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული იქნა საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ წარდგენილი კანდიდატები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეული იქნა უმაღლესი საბჭოს 18 წევრი პროპორციული სისტემით და 3 წევრი მაჟორიტარული სისტემით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან:

5 საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“

1. ბაგრატიონი ელგუჯა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
2. კირთაძე გიორგი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
3. აბულაძე გია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
4. ვასაძე მედეა („უპარტიო“);
5. ანთაძე ლევან („უპარტიო“);
6. ჩავლეიშვილი ირაკლი (საქართველოს რესპუბლიკური პარტია);
7. სურმანიძე მამული („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

41 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

1. გაბაიძე დავით („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
2. მანველიძე გიორგი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
3. ჭეიშვილი ირაკლი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
4. ხალვაში ფატი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);

5. ვარშანიძე ნადიმ („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
6. თედორაძე დავით („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
7. მგალობლიშვილი ვლადიმერ („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
8. გვიანიძე მარინე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
9. ბაციკაძე დავით („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
10. ვერძაძე ილია („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
11. სირაბიძე ლაშა („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“);
12. არეშიძე ტიტე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
13. ანანიძე ცოტნე („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
14. ფუტკარაძე ფრიდონ („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - №30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.